წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!




ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

კვირა, 1 ოქტომბერი. 1922 წ.

№ 107 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 107

## სრუტეების საკითხი და ამიერ-კავკასია.

სხვა და სხვა დიპლომატიური ხრიკებით სცდილობს ანტანტა დაარწმუნოს ყველა მასში, რომ არავის არ შეუძლიან სრუტეების საკითხით დაინტერესდეს ისე, როგორც ის.

ამით გამოდის თითქოს ისე, რომ ოსმალეთიც არ არის იმდენათ დაინტერესებული ამ საკითხით, როგორც ანტანტა.

ამისათვის, სრუტეების მომავალ ინტერნაციონალიზაციის დროს უნდათ მოაწყონ ისე, რომ დირიჟორობის ჯოხი არ გაუვარდეს ინგლისს ხელიდან.

პარიზის თათბირმა ამ საკითხის შესახებ მივიდა ასეთ დასკვნამდე, რომ სამოქმედოთ ხელ-ფეხი გაუხსნა ინგლისს, (ცხადია სამაგიეროთ საფრანგეთმა მიიღო თანასწორი კომპენსაციები გერმანეთის საკითხში) ინგლისი, უგზავნის რა ოსმალეთს კონფერენციაზე მოსაწვევ ნოტას, ამავე დროს, გზავნის დრედნოუტებს და ძლიერ ჯარებს სრუტეებისაკენ, (ალბათ იმისთვის, რომ არ სჯერა ქემალ-ფაშას წამოგება, მის მიერ გადაგდებულ დიპლომატიურ ანკესზე, რისთვისაც ემზადება თოფ-ზარბაზნებით ალაპარაკდეს) ოსმალეთისთვის კი, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თუ უნდა განთავისუფლდეს ის და მისივე მოძმე აღმოსავლეთის მუსულმანური ერები ერთხელ და სამუდამოთ ანტანტის უხეშ იმპერიალიზმიდან, უნდა დაირაზმონ მთელი თავისი ძალები და ამნაირად წინ აღუდგეს ინგლისის ამ ახალ ავანტიურას.

ანტანტას, სრუტეების ხელში დაჭერით სურს, მუდამ შიშში და მუქარაში ჰყავდეს, როგორც ოსმალეთის და აღმოსავლეთის ერები, ისე საბჭოთა რესპუბლიკები, რომ საჭიროების დროს გავლენა მოახდინოს მათ ეკონომიურ, თუ პოლიტიკურ მდგომარეობებზე, და ამნაირად ისინი მომართოს თავისი ინტერესების და მიხედვით.

ანტანტის ამ ხრიკებს კი, ეხლავე უნდა მოეღოს ბოლო.

თუ სრუტეების საკითხი ანტანტისთვის სამხედრო სტრატეგიული მოსაზრებით არის მისაღები. ოსმალეთისთვის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის მას სულ სხვა მნიშვნელობა ეძლევა, მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობის სფეროში.

აი, რისთვის არის საჭირო, რომ როგორც ოსმალეთმა, ისე საბჭოთა რესპუბლიკებმაც მიაქციონ მთავარი ყურადღება ამ სრუტეებსა და ეცადნენ მისი საკითხი გადასჭრან თავისთვის დადებითად.

ანგორის მთავრობა ამ ნაბიჯით უკვე მიდის, საბჭოთა რესპუბლიკებიც მასთან არიან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის ამ სრუტეებს.

ეს სრუტეები, ის მთავარი ძაფი, რომლითაც საქართველო შეერთებულია დასავ. ევროპასთან.

მისი პორტები: ბათუმი და ფოთი, რომლებიც მუდამ ცოცხალნი არიან ხოლმე სრუტეების თავისუფლების დროს, უსიცოცხლო და მკვდარ ქალაქებს და ემზგავსებიან სრუტეების ანტანტის მიერ დაჭერის გამო.

მის პორტებს სავაჭრო გემების ნაცვლათ, მიადგებიან ინგლისის კრეისერები თუ დრედნოუტები და ამნაირად შეუძლიათ ყოველ წუთში აათხრონ მთელი საქართველო.

ამისათვის, რადგან საბჭოთა საქართველო ყველაზე მეტად არის დაინტერესებული ამ სრუტეების საკითხით, ამიტომაც, მან, რითაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა მიიღოს მონაწილეობა კონფერენციაზე...

მაგრამ, ის არის სწორ-უფლებიანი წევრი ამიერ-კავკასიის ფედერაციისა, და რადგან ისინი ეკონომიურად გაერთიანებულნი არიან, რის გამოც საქართველოს დამარცხება მათივე დამარცხებაც იქნება, ამიტომაც იმედია, რომ ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიული მთავრობა მიიღებს სასწრაფოდ ყოველ გვარ ზომებს, რომ მოსაწვევ კონფერენციაზე, საბჭოთა საქართველომ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმა შესძლოს თავის ინტერესების დაცვა სრუტეების საკითხში, რითაც შემდეგ საშუალება მიეცემათ თავისი ეკონომიური მდგომარეობის აყვავების და აღორძინებისა.

პ ა ნ ი.

## ცენტრალურ აღმასკომის მორიგი სესია.

ამა წლის 30 სექტემბრისთვის მოწვეულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია.

ეს აუცილებელი საჭიროებას წარმოადგენს დღევანდელი ჩვენი ცხოვრების ნორმალური განვითარებისთვის, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ის საკითხები, რომლებიც გაირჩევა და მიიღებს შესაფერ გადაწყვეტილებას ამ სესიაზე, თვით ცხოვრების მიერ წამოყენებული საკითხები იქნება.

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისა ბევრი რამ გაკეთდა საქართველოში, თუმცა დასაშვებია ის აზრი, რომ ნორმალურ პირობებში შესაძლებელი იყო მეტის გაკეთებაც. ჩვენ არც იმას დავმალავთ და ,რომც, დავმალოთ ფაქტი მაინც ფაქტია,—აქა იქ დეფექტებსაც კი ქონდა ადგილი, მაგრამ საერთო საქმიანობა, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა უმტკივნეულოდ მიმდინარეობდა და ყოველთვის ჩრდილავდა თუ იყო სადმე უმნიშვნელო დეფექტები.

ამხ. წითელ არმიელებმა უნდა იცოდნენ, რომ ის საკითხები, რომლებიც სესიის დღიურ წეს-რიგში არის დასმული გვაჩვენებს საბჭოთა ხელისუფლების აპარატის განმარტივებას, სამიწათ-მოქმედო გეგმის შეცვლა-დამატებას, მთელ რიგ სამართლის დებულებების გადასინჯვა-დამტკიცებას. და ბოლოს ყურადღება ექცევა ამ სესიაზე იმ სტიქიურ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა დასავლეთ საქართველოს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის გამოძებნის საჭირო ზომებს შექმნილ პირობების უმტკივნეულოდ ჩატარებისთვის.

შემდეგ არა ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს თვით სამაზრო და სათემო ხელისუფლების აპარატებს. ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება განირჩევა და უნდა განირჩეოდეს სხვა სახელმწიფოებიდან თავისი სიმარტივით.

მ შურ-გლეხურ მასებისათვის უნდა იყოს მისანდომი უპირველესად ყოვლისა, როგორც დღის წეს-რიგიდან სჩანს შინაგან საქმეთა კომისარიატი ურდგენს სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასკომის პლენუმს პროექტს სამაზრო და ემთა აღმასკომის რეორგანიზაციის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლება მუშურ გლეხური ხელისუფლებაა და მისთვის კი საჭიროა არა რთული არამედ მარტივი აპარატი, რადგან მასვე უხდება მისი მოვლა პატრონობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშებისა და გლეხების უმაღლესი ხელისუფლება მიაქცევს სათანადო ყურადღებას ზემოხსენებულ საკითხებს და დაამტკიცებს ყველას, რომ ის იცავს მუშებისა და მშრომელ გლეხობის სასიცოცხლო ინტერესებს ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში.

ი. მეგრელიძე.

## წითელი პრესა

როგორც გაზეთებიდან სჩანს მოკავშირე სახელმწიფოებს განზრახვა ჰქონიათ მოიწვიონ კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხების მოსაგვარებლად ამ კონფერენციაზე მოწვეულია: იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, რუმინია, სამხრეთ სლავია, იაპონია, ოსმალეთი და საბერძნეთი. რუსეთზე კი ნოტაში არაფერიც არ ყოფილა ნათქვამი—მიუხედავათ იმისა,რომ ასეთივე ნოტით რუსეთმა პირველად მიმართა მოკავშირეებს, რათა მოწვეული ყოფილიყო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ ყველა სახელმწიფონი დაინტერესებული სრუტებით. გაზ. „კომუნისტი“ს მოწინავე, სწერს ამ საკითხზე:

„სრუტეების საკითხი უნდა მოაგვაროს ურთი-ერთ შეთანხმების ნიადაგზე პირველ ყოვლისა შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ქვეყნებმა. ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს ეკუთვნის თვით რუსეთი, საქართველო და უკრაინა, ანტანტა კი სხვანაირად იქცევა და სურს ეს საკითხი გადასჭრას საბჭოთა ფედერაციის გარეშე. თუ ეს ასე მოხდა ამ გადაწყვეტილებას ისეთივე ბედი ეწვევა, როგორც წილად ხვდა მოკავშირეთა არა ერთ და ორ დადგენილებათ რომელნიც დადებულ და გამოტანილ იქმნენ საბჭოთა რესპუბლიკების დაუდასტურებლად.“

ქვევით გაზეთი განაგრძობს:

„მეორე მხრით აღსანიშნავია, რომ თვით ოსმალეთის ინტერესს შეადგენს, რათა რუსეთმა მიიღოს მონაწილეობა განზრახულ კონფერენციაში და სტამბოლის და სრუტეების საკითხის გადაჭრაში. ოსმალეთი დაჟინებით მოითხოვს, რათა რუსეთი იქნეს მოწვეული მომავალ კონფერენციაზე“

და ბოლოს გაზ. “კომუნისტი“ დასძენს.

„ჩვენ არ ვიცით რას იტყვიან მოკავშირენი, მოიწვევენ თუ არა ისინი რუსეთს, მაგრამ ერთი კი ცხადია, სახელდობრ ის, რომ დღევანდელ კაპიტალისტურ პირობებში რუსეთის ჩაურევლად შეუძლებელია საკითხის ასე თუ ისე სასურველათ გადაჭრა.“

და მართლაც ჩვენ გვჯერა, რომ ურუსეთოდ არ შეიძლება დაცულ იქნას ოსმალეთის უფლებები და ვერც მოკავშირეები მიიღებენ საქმის საბოლოო გადაწყვეტილებას; ანტანტამ ეს კარგათ უნდა გაითვალისწინოს, თორემ ცხოვრების ლოღიკა თავისას გაიტანს და ეს საკითხები, რომლებიც დღეს ანტანტის ტვინს აწუხებს—გადაიჭრება მშრომელ ხალხის სასარგებლოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღევანდელი ცნობები.

— სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა გაფიცვა მარსელში გრძელდება. ერთ ნაწილმა გემების მესაკუთრეებისამ დასთანხმდა 8 საათის სამუშაო დღეზე.

— გემების პატრონებმა დაითხოვეს გემიდან ნაწილი ოფიცრებისა, რომელნიც მიემხრენ გაფიცულებს.

— ვლადივასტოკის ფორტის ერთ სარდაფში მოხდა საშინელი აფეთქება, რამოდენიმე საათის შემდეგ აფეთქდა მეორე ფორტი აფეთქების მიზეზი გამოურკვეველია სარდაფებს იცავდენ იაპონელები.

— ვაშინგტონში ჩამოვიდა ინგლისელთა მისია, ინგლისის: შეერთებულ შტატებისადმი ვალების გამოსარკვევად, ინგლისმა უთხრა გადიხადოს 2 ოქტომბერს 25 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

— ბერლინში ცენტრალური გაფიცვები დამთავრდა.

— „როტე ფანე“ სწერს: რევოლიუციონური მოძრაობა სამხრეთ აფრიკაში, ჩაჩუმებული იქნა ინგლისელების მიერ ტანკების და ტყვიის მფრქვევლების დახმარებით. ახლა დაჭერილია 10.000 მუშა, 950 მუშის „წინაალმდეგ—კი წამოყენებულია ბრალდება მკვლელობის და სახელმწიფოს ღალატისა. გაზეთი სწერს რას იტყვის ნეტავი ამაზე ვანდერველდე აი სწორედ აქ მართებს მას თავის მუშათმოყვარეობის გამოჩენა, მაგრამ ამაზე ძალიან ცოტა იმედია.

— ვარშავაში პოლიცია აწარმოებს მრავალ რიცხოვან გაჩხრეკებს კომუნისტებში წაღებულია ბევრი საგიტაციო მასალა და დაჭერილია ბევრი ამხანაგები.

## ახლო აღმოსავლეთის ამბები.

— ოსმალოების ცხენოსანი რაზმი მიიწევს წინ ჩრდილოეთ დასავლეთ მიმართულებით, რათა დაიკავოს ინგლისელების ავანპოსტები, ამის საწინააღმდეგოთ სპეციალურად გაგზავნილია ინგლისის კავალერია არტილერიით.

— ქემალმა, ინგლისელთა უმაღლეს კომისარის ნოტაზე, რომელიც მოითხოვდა რათა ოსმალოების ჯარი დაუყონებლივ გავიდეს ნეიტრალურ ზონიდან; მისცა ახვეული პასუხი. ქემალმა უპასუხა, რომ ის არა სცნობს არავითარ ნეიტრალურ ზონას და გამოსთქვა საბრალული, რომ ინგლისელები ანგრევენ სახლებს და ქუჩებს. დასასრულ ქემალმა გამოსთქვა სურვილი კომპლიკტის მოგვარებისა.

— სირიის და ეგვიპტის გაზეთები ათავსებენ აღტაცებულ წერილებს ოსმალოების გამარჯვებაზე. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ოსმალოების გამარჯვებას მოაქვს თავისუფლება მთელი აღმოსავლეთისთვის და ეს ნიშნავს ბრიტანეთის დამარცხებას. ქემალმა თვის გამარჯვებით მოსპო ევროპის ბატონობა აღმოსავლეთზე.

— დამტკიცებულ ცნობით, ალბანიაში იფეთქა რევოლიუციამ. აჯანყებულები უტევენ ალბანიის სატახტო ქალაქის მიმართულებით.

— მეფე კონსტანტინე ათინაში დატყვევებულია მოკლულია ერთი მინისტრი.

— გერმანიის პრესსა, საბერძნეთის რევოლიუციას აფასებს როგორც საფრანგეთის გამარჯვებას.

— სამხედრო აჯანყების პირველი ბაზე საბერძნეთში დამთავრდა. ათინა დაკავებულია უმსხვერპლოდ.

— აჯანყებულებს ქონდათ თათბირი ვენიზელოსის მიმდევრებთან, ახალი მთავრობის შექმნაზე.

— ამხანაგი რადეკი სწერს: მოკავშირეებმა უკანასკნელ თავის ნოტაში ოსმალეთისადმი, აიღეს უარყოფილი საპატივცემლო ტონი. ისინი სცნობენ უფლებებს და კანონიერ საზღვრებს ოსმალეთის და სთხოვენ მას ერთალიგაში. ეს პატივცემლობა არის მხოლოდ ტაქტიკის გამოცვლა, რა თა მოიგონ დრო და უკეთ მოუყარონ თავი ჯარს დარდანელში, და შემდეგ უკარნახონ ოსმალეთს თვის ნება, ოსმალების ხალხი შეაფასებს ღირსეულად ლოიდჯორჯის ტაქტიკის გამოცვლას იმის რომელიც აქნობამდი წარმოებდა ოსმალეთის ხალხის დახოცვის პოლიტიკა.

— ოსმალების მოწინავე რაზმები მოვიდენ ინგლისელების ბანაკის მავთულის ხლართამდი. მოდის ცნობები კიდევ ოსმალების სხვა ჯარების წაწევაზე. ამასთან დაკავშირებით მოკავშირეთა მთავრობა სცნობს მდგომარეობას ძლიერ სერიოზულად.

— ინგლისის მთავრობა მიანდობს თავიანთ უმაღლეს კომისარს რათა მან კიდევ მიმართოს ქემალს მოწოდებით ოსმალების ჯარების წინსვლის შესახებ.

— 28 სექტემბერს სტამბოლში მოვიდა ახალ ინგლისელთა დამხმარე ძალები. მოვიდა ერთი ბათალიონი ფეხოსნების და 1000 კაცი ავიო რაზში.

— ინგლისის კაბინეტის სხდომაზე იხილავენ საბჭოთა რუსეთის უკანასკნელ ნოტას ახლო აღმოსავლეთის შესახებ.

— ბერძნების ელჩმა ბერლინში შეატყობინა პრესის წარმომადგენლებს, რომ ათინას ცხოვრებლები აღტაცებით ეგებებოდნენ რევოლიუციონურ ჯარის ნაწილებს ათინაში, როგორც მამულის მშველელებს მიზანი რევოლიუციონურ მოძრაობის არის სამშობლოს შველა. მთავრობის საბოლოო შედგენამდი ქვეყნის მართველობა ხელში აქვთ ჩაგდებული 12 არმიის ოფიცრებს.

— სამხედრო სამინისტროს უკანასკნელ ცნობებით, გადაწყვეტილია გაწმენდილი იქმნეს სტამბოლი და ჯარის ნაწილებს თავი მოეყაროს გალიპოლიაში.

— „ჩიკაგო ტრიბუნის“ ცნობით ინგლისელები სწმენდენ მცხოვრებლებიდან ჩანაკას ხაზს.

— საბერძნეთში ქ. ვენაში უფლება გადასცეს რევოლიუციონერებს, ვენიზელოსელებთა კომისია სამი წევრებიდან შეადგენენ დროებითი მთავრობას.



## საბერძნეთში.

და კონსტანტინეს ტახტი მეორედ
რევოლიუციით ააყირავეს
გაუმაძღარი იმისამდა
ეგეის ზღვაში დააგირავეს.

მუშა ეროთი და ჯარისკაცი
ხიშტით მისდევს და ისმის ხმაური.
წიხლით უთელავს უტახტო ზურგსა
მოუსვენარი მას მეზღვაური

„აღარ გვინდიხარ, მოგვშორდი მალე!“
— უყვირის იმას ელადის ხალხი—
„კმარა რაც ჩვენ ერს, ანატოლიით,
საუბედურო ჩააცვი თალხი!“

შორით წითელი რესპუბლიკელი
მთებს გადმომდგარი მხარობს ამ ამბით.
ეხლა „ანტანტა“ კომუნის ფრთის შლას
—ვერ შეაჩერებს ვერარა დამბით.

---

### გაზეთი ცხოვრების სარკეა.

წაიკითხეთ და წერა-კითხვის უცოდინართ გაუზიარეთ, მისი შინაარსი.

---

## პოლიტ წრეებს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება.

ამ დღეებში კარლ მარქსის კლუბში იყო კლუბის გამგეების და პოლიტიკური წრეების ხელმძღვანელების თათბირი, რომელიც მოიწვია ოკას კლუბის განყოფილებამ. უნდა აღინიშნოს, რომ აგრეთვე თათბირში მონაწილეობდენ ხელმძღვანელები და კლუბის გამგეები ქართულ დივიზიის. ამხ. ვასილევის მოხსენებით და ადგილებიდან კამათით აღნიშნულ იყო, რომ კლუბის პოლიტიკურ წრეებში მუშაობა ამ ბოლო ხანებში, რამოდენიმეთ დაეცა. ყველა ხაზ გასმით აღნიშნავდა, რომ პოლიტიკურ წრეს, რომელიც არის მთავარი და ტონის მიმცემი დანარჩენი წრეებისა, უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენთანაც დივიზიაში პოლიტწრეები, შედარებით სხვა წრეებთან მუშაობენ სუსტათ, პოლიტწრე ეს ისეთი წრეა, რომელიც უნდა იზიდავდეს ყველა პარტიული, თუარა პარტიული წითელ არმიელებს, რომელთაც წყურიათ პოლიტიკური ცოდნა და აინტერესებს, ჩვენი რევოლიუციონური დროის პოლიტიკური ამბები. უფრო მეტი ყურადღება ამ წრეს უნდა მიაქციონ, სამხკომებმა, კლუბის გამგეობამ და ყველა პოლიტიკურ მუშაკებმა. 6 საათზე უნდა დაესწრონ ყველა წითელ არმიელები, მაგრამ განსაზღვრული დრო და წითელ არმიელების დიდი რაოდენობა, არ იძლევა საშვალებას ღრმად განხილული იქნეს რომელიმე პოლიტიკური საკითხი, რომელიც ძალიან აინტერესებს წითელ არმიელებს. პოლიტწრეებში შეუძლებელია მუშაობის რთულ პროგრამით წარმოება, როგორც ამას ფიქრობენ ზოგიერთი წრეები. მუშაობის ფორმა უნდა იყოს აუცილებლათ წრიული რომელიც დამყარებული იქნება წრის წევრების თვითმოქმედების პრინციპზე. წრის ყველა წევრი აქტიურათ უნდა მონაწილეობდეს წრის მუშაობაში კავალენკოს წიგნი „პოლიტიკური ანბანი“ სწორედ შესაფერისია პოლიტწრეებში მუშაობისათვის. გარდა სისტემატიური საუბრისა, დღიურათ წამოყენებულ პოლიტიკურ საკითხების გარჩევისა, პოლიტიკურ წრის მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს, ცოცხალ გაზეთების, პოლიტიკური სასამართლოების, კედლის გაზეთების, სინათლის გაზეთების და მთელი წყება საჭირო ინსცენიროვკების ორგანიზაციაში. ასეთი მუშაობა პოლიტიკური წრის უნდა წარმოებდეს, ლიტერატურული სასოფლო მეურნეობის და სხვა სამხატვრო წრესთან შეთანხმებით. აუცილებელი საჭიროა პოლიტწრის შეთანხმებული მუშაობა ნაწილის ასეთი საagitaციო საპროპაგანდო მუშაობასთან როგორიც არის პოლიტსაათი, კრება და შემთხვევითი კომპანიები ყველაფერი რაც იყო გამოთქმული თათბირზე, დაედება საფუძვლათ არმიის კლუბების მუშაკების მესამე კონფერენციის ტეზისებს.

მეტი ყურადღება პოლიტწრეებს: წერეთ წერილები რედაქციას, წრის მუშაობის მიმდინარეობაზე.

სერგეი ეგიკოვი.




## მე ველოდი.

(ლოცვად კომუნის)

როგორ წვიმდა, როგორ სთოვდა, ქარი როგორ მქროდა,
როგორ იყო ყოველივე მოწყენილი, სველი...
არსით იყო სიხალისე,—ყველა შიშით მკრთოდა;
სევდით დაბლა თავ-დახრილი სდუმდა მთა და ველი.

მე ველოდი გაზაფხულსა მორთულს ჭრელი კაბით,
ნაზს, უწყინარს, სასიამოს, ნეტარების ღილით;
ველოდი ტყის ერთმულსა დირიჟორს კაკაბით,
ოდესაც მზე დაადგავდა თავზე გვირგვინს დილით.

ველოდი და ამ ლოდინის დაჰკრა ეხლა წამმა,
და სიომაც ახალ დროის ხმებით გადმომძახა:
„გაიხარე უბედურო დიდხანს განაწამმა,
ხომ მოესწარ რაც გინდოდა და გეღირსა ნახვა!“

შალვა თელია.




## კომუნართა ხსოვნის შესახებ.

ჩვენ წითელ არმიელებმა 1-ლ საბჭოთა მსროლელთა ც. ა. კ. ლეგიონის მე-9-ე გუნდის მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ელიაშვილისა რომელმაც მდაბიოენით აგვიხსნა შესახებ 26 კომუნარის ხსოვნისა, უცხადებთ ზიზღს მშრომელთა ხალხის მტრებს მენშევიკებს, დაშნაკებს, მუსავატელებს და სხვა რომლებიც მეთაურობითაც იყვნენ დახვრეტილი ბელადები ბაქოს მშრომელი ხალხისა ამხ. შაუმიანი, ჯაფარიძე და სხვები. ერთხელ და სამუდამოთ ახსოვდეთ მათ მშრომელ ხალხის გამყიდველებს, რომ ჩვენც მზათ ვართ შევსწიროთ თავი და დავიცვათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე სოციალისტური რევოლიუცია.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის ბელადებს.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

წითელი მოლაშქრე ქიტი.

## სათეატრო მუშაობა ჩვენს ჯარში.

პირველ ლეგიონის კლუბთან, ხელახლავ შედგა დრამატიული წრე. წრეში უმრავლესობა სცენის-მოყვარე წითელ-ლაშქრელებისაა, ხოლო პიესებს ხელმძღვანელობს ამხ. ს. ერთაწმინდელი. ჯერ-ჯერობით მზადდება თარგმნილი პიესა „კომუნისტი ქალი“ მასთან არის: „მალაროს უფროს მუშა“ გარდა წარმოდგენებისა ლეგიონის კლუბის სათეატრო დარბაზში გაიმართება კინოს სეანსები. ეწყობა აპარატი და ეკრანი საზოგადოთ ამ სახელოვნო მუშაობის ორგანიზაციაში უმეტესი ღვაწლი მიუძღვის კლუბის გამგეს ამხ. კვარცხავას.

წ. ლ. შ. ს.

## უყურადღებობა თუ სიზარმაცე.

თბილისის მც. მხლებ. ათასეულში ხშირი იყო ასეთი შემთხვევები, როდესაც ათასეულის შტაბში აგზავნიდნენ პაკეტებს იქ წაუკითხავათ ადებდნენ რეზოლიუციებს, მაგალითად იყო ასეთი შემთხვევა, როდესაც გუნდის წითელ არმიელების ამხ. ფაცაიშვილის და ამხ. იობაშვილის თხოვნები გადაგზავნა გუნდის თავმა რათა მათ მისცემოდათ სასურსათო გადასახადისაგან განთავისუფლების მოწმობები თანახმად დეკრეტი № 3 მაგრამ ეს ასე არ მოხდა რას ნიშნავს ეს უყურადღებობას თუ ზარმაცობას?

ვგონებ ერთსაცა და მეორესაც

ისა.

## ლეჩხუმის მაზრის კამკომ.ის საყურადღებოთ.

ამხ. სამხედრო კომისარო! თქვენდამი რწმუნებულ კომისარიატში თქვენს მოსვლამდე ვერც ერთი წითელ-არმიელი ვერც ერთი პატიოსანი თანამშრომელი ზედმეტ კუთვნილს კი არა ხვედრის ნახევარსაც ვერ ღებულობდა. თქვენი აქმა „ამხ. ცომაიაზე ირიცხება ზედმეტ მიღებული კუთვნილი ფული 172.000 მან.“ ვერ არის კომუნისტური ანგარიში და ულოღიკოა რადგან ზედმეტი მიღებული თუა კუთვნილი არ იქნება და კუთვნილი თუა ზედმეტათ მიღებული არაა. ვერ გიცნობთ როგორც ახლათ მოსულს ხოლო ვეკითხები ძველ სპეცს პავლე გორდეზიანს და მის თანამოძმეებს თქვენ ქეიფობთ წითელ- არმიელების და თანამშრომლების ხვედრით ყოველ სალამოობით ქ. ცაგერის ძთის კალთებში მე კი პროცენტებს მაწვრთ ტფილისში ეს როგორი ანგარიშია?..

მე ვასრულებ ბრძანებას თქვენსას ინებეთ ფული ლეგიონიდან მაგრამ გთხოვთ მაცნობოთ რისთვის არ გამოდგა ძველი ანგარიში რომლის მიხედვით ჩემზე გამოწერილ ფულებიდან მილიონი მხვდებოდა და ვისთან გაასწორეთ ახლათ ანგარიში? სად გაჰქრა ჩემი კუთვნილი მილიონი? საიდან მომაწერეთ 172.000 მან. გადასახადათ?

ევ. ცომაია.

## ერთგულობა.

ქართული ცხენოსანი ესკადრონის ნაწილი დიდი ხანია რაც იმყოფება ოზურგეთში ბოროტ მოქმედების საწინააღმდეგოთ. მე არ შემიძლიან არ აღვნიშნო იმათი დაუღალავი მუშაობა. რაც კი დავალებანი აქვთ ყველაფერს დაუყონებლივ და პირნათლად ასრულებენ. სანამ ჩამოვიდოდით ქალაქ ოზურგეთში, მოსვენება არა ქონდათ, გლეხებს და მუშებს ბოროტ მოქმედებისაგან. როდესაც ჩამოველით განვაგრძეთ მუშაობა მათ საწინაალმდეგოთ, მას შემდეგ უკვე თან და თან ისპობა ასეთი მავნე პირების გამოსავალი გზა და იძულებული ხდებიან დანებდნენ მთავრობას. ამისთვის ყველა ოზურგეთის მუშა გლეხნი სიხარულით და მადლობის ხმით ეგებებიან ჩვენი ნაწილის წ. ლაშქრელებს. აი რას ნიშნავს შეგნება და ერთგულობა?!.

სამხედრო ა. ბოლდაშვილი.

ამხ. წითელ-არმიელებო!

დაეწაფეთ სწავლას, იგი სინათლის წყაროა!

## სამნი ძმანი.

რევოლიუციონური-სიმბოლიური სურათები-აპოთეოზი 3 კარად.

### სურათი I

**მონობა.**

სცენის ერთის მხრით: მაღლობ ადგილზე, მშვენივრად მორთული დარბაზი. სხედან: მეფე, ბურჟუა, თავადი—სეფექალებში, მოქეიფენი. მღვდელი უკანიდან სდგას ჰიქათ ხელში და ლოცავს მოზეიმეებს.

დაბლა-კი მათი მცველი ჯარის-კაცი, თხოვნით მოსულ გლეხსა და მუშას ებრძვის. ცალი ფეხი დაუდგავს ნამგლით ხელში ნახევრად წაქცეულ გლეხისთვის და ხიშტს უღერებს უროთი შემომტევ მუშას.

მოზეიმეებთან სინათლეა—დაბლა-კი ბნელა. სცენის მეორე მხარეს—სიბნელეში—მოსჩანს მწუხარე დედა; ქარხნის ბუხარი და შორს მინდორ-მთები. მუსიკა უკრავს: „ღმერთო ჰფარვიდე მეფეს.“ თან იკითხება კულისებში, ანუ ფარდის ახდამდის გარედ:

ზეიმობს მეფე, თავადი, ბურჟუა,
გარს ახვევიათ სეფე-ქალთ გროვა;
მღვდელიც მათ ლოცავს. — ქვეყანა ყრუა,
მონობა ფრთას შლის,—მეუფებს გლოვა.
მათთვის ანათებს ცით თვით სოთნო მზე!
და ჯარის-კაცი—მათი დამცველი—
ებრძვის გლეხს, მუშას—თხოვნით მოსულებს;
და ასე... ძმანი,—ურთ-ერთის მცველნი
ემსხვერპლებიან მდიდრებს, ავ-სულებს
ბინდი გაჰკვრია სინათლეს ტატნობზე!

ფარდა.

### სურათი II

**ერთობა.**

იგივე სურათი. მეფე მრისხანეთ ფეხზე მდგომია; თავადი ხანჯალზე ხელ-გაკრული და ბურჟუა დაღონებული. მღვდელი ლოცულობს, ქალები შეშინებულნი არიან.

მეორე მხარეს,—მათგან შეუმჩნევლად—სცენის სიღრმეში მუშა, გლეხი და ჯარის-კაცი ძმობილდებიან. დედა გახარებული შესცქერის. მთების იქიდან ამოდის ალიონი. კულისებში ზარი, სალამური, „მარსელიეზა“. იკითხება:

სხივი შემზარი, ალიონმა სიბნელეს სტყორცნა,
[illegible]არე-მარეს უძღვნა, შვებით, საამო კოცნა.
წლობით მძინარეთ გაღვიძა—ტრფობა დაუწყო,
და სიყვარულმაც სიხარულით ცეკვა აუწყო.
ძმათ მოაგონდათ მთების იქით თავის სოფელი,—
სადაც—სიყრმეში—იყვნენ მარად კარგის მყოფელი.
და ეხლა იგრძნეს შეცდომანი—ძმობილდებიან,
ქვეყნის დამღუპავთ ცეცხლის რისხვით ემუქრებიან.
აეშვა აფრა,—ხელით უვლება;
შეშფოთდა ბატონთ ხელისუფლება.

ფარდა.

### სურათი III

**თავისუფლება.**

იგივე სურათი. ბრწყინვალე დღეა. ერთმანეთზე ყრიან: მეფე, ბურჟუა და თავადი. შეშინებულნი ქალნი ერთი მხრით გარბიან—მეორე მხარეს მღვდელი წყევაკრულვით. ზედ ცალი ფეხით შემდგარან სამნი ძმანი—გამარჯვებულნი. გლეხი შუაში წითელი დროშით მარცხენა ხელში და მარჯვენაში ნამგლით; მარჯვნივ მუშა მარჯვენა ხელით უროზე დაყრდნობილი და მარცხენაში ჩირაღდნით; მარცხნივ ჯარის—კაცია მარცხენა ხელში თოფით და მარჯვენათი დროშის კალთას შლის. უკანიდან გახარებული დედა ყვავილებს აყრის—დაფნის გვირგვინს ადგავს.

ისმის „ინტერნაციონალი“ თან იკითხება:

განთავისუფლდა გმირი სამება,—
ვინც გამოსცადა ბევრი წამება,

და აღსრულდა წმიდა აღთქმანი,
დაიგუგუნა მძლეველი ხმანი.

გაისმა ყველგან ჰიმნი ერთობის,
თავისუფლების და ერთა ძმობის.
ხალხი ზეიმობს ნეტარ ნადიმზე!
არისტოკრატია ძირს ყრია, წყევით
ირღვევა სამყარო ელვიან რხევით.

მშრომელთა დედა აღარ ქვითინებს,
რაინდებს უწნავს დაფნის გვირგვინებს

ძველი მსოფლიო, შიშით ძრწის ახლა,
წითელი დროშა იწევს სულ მაღლა.
ჰხარობს სიამით ზეცით მნათი მზე!

ფარდა.

ს. ერთაწმინდელი.

# სამხედრების საყურადღებოთ

გაზ. „წითელ არმიელის“ რედაქცია ამით აცხადებს, რომ ინფორმატორების ხელმოუწერელი შეუმოწმებელი კორესპონდენცია არ დაიბეჭდება, აგრეთვე წერილის ქვემოთ ავტორის ვინაობა აღნიშნული უნდა იყოს გარკვევით

რედაქცია




## ცენტ. ბიბლიოთეკიდან წაღებულ წიგნების გამო.

ამ ორიოდე თვის უკან წ. არმიელთა კლუბთან არსებულ ცენტრალურ სამკითხველოს გამგე ქალმა მურადოვმა, განმიცხადა რომ პირველ ქართულ ლეგიონის წითელ მოლაშქრეთა მიერ წაღებულია წიგნები—მის საკ თხავათ, რომელიც უკვე მე-4 თვე გადის და დაბრუნებული არ არისო.

გავიდა რამოდენიმე ხანი და შეკრებილი და წარმოდგენილი იქნა ბიბლიოთეკაში მხოლოდ ექვსი წიგნი, ხოლო დანარჩენი წითელ-მოლაშქრეებითურ სახეზე არ აღმოჩნდა.

მე ჩავიბარე სია 110 წ. მოლაშქრე მკითხველისა, რომელთა შორის ზოგიერთებს ორ-ორი, სამ-სამი წიგნი ჰქონდათ სამკითხველოდან. მიღებული და ამხ. გ. ბერიძესთან ერთად შეუდექი გამოძიებას, რათა აღნიშნული წიგნები დაბრუნებული ყოფილიყო დანიშნულებისამებრ.

დღეს, მე მგონი, სათანადოთ უნდა ქონდეს შეგნებული ყოველ წითელ მოლაშქრეს, თუ რაოდენ საჭიროებას წარმოადგენს წიგნების დროზე დაბრუნება, რათა სხვებმაც ისარგებლონ და როგორი დიდ დანაკლისს შეადგენს ამ ქართული წიგნების დაკარგვა, რომლითაც ისედაც მწირი და ღარიბია ჩვენი ცენტრალური ბიბლიოთეკა.

ამხ. წითელ-მოლაშქრეებო! მოგმართავთ, რათა ის წიგნები რომელნიც გეგულვებათ თქვენ სინიდისზე დაუყოვნებლივ დააბრუნოთ კუთვნილებისამებრ.

ის წ. მოლაშქრენი, რომელნიც მივლენილათ ითვლებიან სხვა და სხვა ადგილებსა და ხაზებზე და შეიძლება სრულიად შეუგნებლადაც თან წაყოლილი აქვთ ბიბლიოთეკის წიგნები, დააბრუნონ ასეთი პირველ-შემთხვევისთანავე ლეგიონის სამკითხველოს მიხამართით, საიდან გადაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

სასურველია, პირველი ლეგიონის სამკითხველოს გამგე ქალმა თავის წიგნების კოლექციებშიდაც მოიძიოს, შეიძლება შეცდომით მასთან დაბრუნებული ც. ბიბლიოთეკის წიგნები.

წ. ლ. შ. ს.

# პროვინცია

## კახეთი

უკვე თავდება სიმინდის ჩეხა. სიმინდის მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. ამის მიზეზით კახეთში, მეტადრე სიღნაღის მაზრაში საშინლად დაეცა ფასი სიმინდზე. სპეკულიანტებს არა სძინავთ და დიდი პარტიობით ყიდულობენ სიმინდს, რომელიც ჩალის ფასათ უვარდებათ ხელში. კოოპერატივებს და საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს მართებს დიდი ენერგიული მუშაობა, რათა გაუწიონ კონკურენცია ამ ჩვენ ცხოვრების პარაზიტლების. ღვინის მოსავალი საშუალოა. უკვე დაიწყო რთველი.

კახეთში ჩამოვიდა სასანიტარო-საექსპედიციო კომისია მალიარიასთან (ციებ-ცხელება) საბრძოლველად. ხალხი ამ ამბავს აგიტაციებით მიეგება.

კახეთში სამწუხაროდ გახშირდა ქურდ-ბაცაცობა და შარა გზაზე მეურმეებზე თავდაცემა, რაც მიეწერება ადმინისტრაციის სისუსტს. ღამ-ღამობით მეურმეებს შიშით ვერ უმოგზაურიაათ. ამას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ქარ.—იმ.

ამხანაგო წ. არმიელებო! ებრძოლეთ თქვენ რიგებში, პროვოკაციას. და დეზერტირობას.

# პატარა ფელეტონი

## რადიო-ჭორი.

**ივანიკა:** ბიჭო ახალი ამბავი არ გაგიგიათ, თურმე წუხელ ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის ამალით პარიზში გაპარულა.

**აგრაფინა:** ამბობენ თურმე ლონდონში საყვარელი ჰყავსო.

**სიმონიკა:** პარიზში კი არა და თურმე ლონდონში წასულა ლოიდ ჯორჯთან საქმე აქვსო.

**პელაგია:** ეგ კი არა ქალო და თურმე ვრანგელი თელავში ჩშემოსულა.

**ივანიკა:** გუშინ წინ ქაქუცას მოუვიდა თელავიდან ასი ფუთი ლობიო და ათასი ფუთი კახური ღვინო „ნაფარეული“ და ამოზელილი ლობიო თავის ჩივრითა და ტყლაპით.

**აგრაფინა:** ეგ კი არა და იცით რას ამბოპენ, თურმე ბერძნები სახლიდან არ გამოდიან ქუჩებში ეშინიანთ თათრებისო...

**სიმონიკა:** იცით რას ამბობენ თურმე ბათუმში ორმოცი პარახოდი ჩამოსულა და ჩამოუტანია პუდრი და სახარინა.

**პელაგია:** ქალო აგრაფინა რა გვემართება, ამბობენ ქალებმა ტიტველი ფეხებით უნდაიარონ, „გალავინსკზეო“ ვაჭრებს პირი შეუკრავსთ და თითო „ჩულქი“ მილიონი გაუხდიათ.

**ივანიკა:** ეგ კი არა იცით რას ამბობენ, ამერიკაში რკინიდან ოქროს ღებულობენო.

**სიმონიკა:** ხოდა იცით კიდევ რას ამბობენ, თურმე კვდარ კაცს ამერიკაში აცოცხლებენ.

**აგრაფინა:** ქალო პელო, რაღა გვეშველება, ამბობენ ბათუმიდან აღარ უშვებენ აღარც პუდრსა, აღარც კრასკას და აღარც დუხ ოდეკალონებსაო.

**პელაგია:** ამბობენ, ღვდლებს საჩივარი შეუტანიათ კათალიკოსთანაო.

**ივანიკა:** (აწყვეტინებს) დიაკვნებმა გვიღალატესო და კომუნისტურ პარტიაში ეწერებიანო.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ილაპარაკებდნენ ეს ყმაწვილები, რომ ჭორები არ შემოლეოდათ.

წიწაკა.




## საინჟინერო ათასეულში.

ვინ გინდა, რომ აქ არა
თამაშობენ ლექურს?
(რას იზამ თუ—კი მთვრალი
სასაცილოდ ქე ხურს!!!)

სამიკიტნო გახსნეს და.
ისმის „მრავალ—ჟამიერ.“
„ეს ყაზარმა ჩვენია—
იმიერ და ამიერ!..“

გაჩაღდა ღვინოების
ჩუმი „სპეკულიაცია;“
ვგონებ, მალე ბაზარზე
ჰყიდონ ტანთ რაც აცვიათ.

თორემ ჯამაგირები
არმიელთ სად ეყოფათ?
(ჩხუბის შემდგომ, სირცხვილით
თავი გამოეყოფათ?!)

დიდი ბოჩკა და... „ბოთლი
დვაცატ ტიშჩათ მოჟნა.,
მაჭლობა ღმერთს არ გვიშლის
ხელს ყანწის ტამოჟნა!.“

ნუთუ ინჟ—ათასეულს
პატრონი არა ჰყავს?
ფრთხილად თორემ იცოდეთ
ეს არაფერსა არ ჰგავს!!!
(წ. არმ. № 106-დან.)

დაშნა.

## ჩვენი ფოსტა.

ამხ. დემკერს.-თქვენ უნდა იცოდეთ ამხ. დემკერო, რომ რკინის გზაზე ყველა ვალდებულია იქონიოს ბილეთი და თუ ლიტერი აქვს შეამოწმებიოს. ამისთვის არსებობს განსაკუთრებული კანონი და მისი აუსრულებლობა არავის არ ეპატიება. რაც შეეხება ზოგიერთ რკინის გზელების უდიერ მოქცევას მგზავრებისადმი ეს, ცხადია დასაგმობია და ამ მხრივ თქვენს წერილში მართალი ხართ.

საერთოთ კი თქვენი წერილი არ არის დასაბუთებული კარგათ, რისი მიზეზით არ დაიბეჭდება.

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან. რედაქტორი პ. ქუთათელაძე